

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### საქართველოს კანონის პროექტზე: “საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ”

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია კონკრეტული ნორმების სრულყოფის აუცილებლობითა და ხარვეზის აღმოფხვრით.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიღების მიზანია სრულყოფილად დარეგულირდეს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ის საკითხები, რომელიც ეხება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალწარმოებას.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

წარმოდგენილი კანონპროექტი გარკვეულწილად “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტიდან და “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტიდან გამომდინარე კანონპროექტია. კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის VII<sup>4</sup> თავის მთელ რიგ მუხლებში.

დღეს არსებული კოდექსის რედაქცია ითვალისწინებს მხოლოდ ფსიქიატრიული დაწებულების ადმინისტრაციის მიმართვას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია დაინიშნოს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება. პროკურორს პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას არ აქვს უფლებამოსილება მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების თაობაზე, რადგან აღნიშნულის განხილვას არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული თავი, მოცემული კი, ხარვეზია კანონმდებლობაში და შესაბამისად საჭიროებს მთელი რიგი ნორმების ახლებური რედაქციით ჩამოყალიბებას.

კანონპროექტის თანახმად, გარკვეულ ეტაბზე, ერთმანეთს უთანაბრდება ექიმ-ფსიქიატრთა კომისიისა და სასამართლო-ფსიქიატრიული ექპერტიზის დასკვნები. იმდენად, რამდენადაც პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას სწორედ სასამართლო-ფსიქიატრიული ექპერტიზის დასკვნის საფუძველზე ხდება დევნის შეწყვეტა, შესაბამისად მართებული იქნება მოცემული დასკვნის საფუძველზე, მასთან ერთად, გახდეს შესაძლებელი იმ შუამდგომლობის წარდგენაც სასამართლოში რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

წარმოდგენილი კანონპროექტით ცვლილებები ხორციელდება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩინრების მუხლში (მუხლი 21<sup>20</sup>). კანონპროექტის თანახმად არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩინრება შესაძლებელი გახდება პროკურორის მიერაც, ამასთან მოსამართლე უფლებამოსილი იქნება აღნიშნული საკითხი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;**

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;**

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;**  
ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);**  
საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.**  
მასში აღინიშნება:

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;**  
არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;**  
კანონპროექტების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;**  
კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;**  
აღნიშნული პროექტის მომზადებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;**  
აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი;**  
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.**  
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

